მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა
2024-2025 სასწავლო წელი

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ჩატარდა მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა 39 მაგისტრანტი. მათ შორის:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 39,1%;

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 38,9%;

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 22%;

კვლევაში მონაწილეობდნენ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, აგროტექნოლოგიის, ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნეს-ინფორმატიკის, ასტრონომიის, ქართველური ენათმეცნიერების, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.

კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მიზანი და ამოცანები:

კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მაგისტრანტებისთვის წინასწარ შედგენილ კითხვებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ დამუშავებას, შედეგების გაანალიზებას, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (შეხვედრები რესპოდენტთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები/გამოკითხვები), დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებას, შესაბამისი სამსახურების, პერსონალის ან/და სტუდენტების ინფორმირებულობას და უკუკავშირისთვის რეაგირებას. PDCA ციკლის უწყვეტობისთვის კვლავ ხდება სარეკომენდაციოდ გაცემული საკითხების შესრულებაზე მონიტორინგი, პრობლემის ან საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე.

კვლევის მიზანია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტების და დაწესებულების დამოკიდებულების, აგრეთვე სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. კვლევა ტარდება უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა MOODLE_-ის პროგრამის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

კვლევა ითვალისწინებს:

○ კვლევის მიზნის, ამოცანის იდენტიფიცირებას. მიგნებების გამოკვეთას, დასკვნების გამოტანასა და რეკომედაციების შემუშავებას.

○ ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევის შედეგებთან და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე).

○ ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;

○ ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;

○ შესაბამისი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულებისთვის კვლევის შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

○ კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში.

კითხვაზე: რამ განაპირობა თქვენი არჩევანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევისას? (მონიშნეთ თქვენთვის სასურველი რამდენიმე პასუხი ან დააფიქსირეთ თქვენი სხვა მოსაზრება:

გამოკითხულთა 20,7%-მა უპასუხა, ამავე უნივერსიტეტში დასრულებულმა საბაკალავრო პროგრამამ;

გამოკითხულთა 31%-მა უპასუხა, გამოირჩევა სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხით;

გამოკითხულთა 20,7%-მა უპასუხა, აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიულია;

გამოკითხულთა 10,3%-მა უპასუხა, აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო;

გამოკითხულთა 17,2%-მა უპასუხა, ტერიტორიულად ხელმისაწვდომია;

კითხვაზე: სასწავლო პროცესი ორგანიზებული და მოწესრიგებულია ?

გამოკითხულთა 93,1%-მა უპასუხა, დიახ, სასწავლო პროცესი ორგანიზებული და მოწესრიგებულია;

გამოკითხულთა 6,9%-მა უპასუხა, სასწავლო პროცესი მეტწილად ორგანიზებული და მოწესრიგებულია;

კითხვაზე: ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნოთ თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?

გამოკითხულთა 93,1%-მა უპასუხა, დიახ, ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა გააცნეს თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები;

კითხვაზე: თქვენი აზრით, შეფასება ობიექტური და სამართლიანია?

გამოკითხულთა 93,1%-მა უპასუხა, დიახ, შეფასება ობიქტური და სამართლიანია;
გამოკითხულთა 6,9%-მა უპასუხა, შეფასება მეტწლიად ობიქტური და სამართლიანია;

კითხვაზე: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელის კონსულტაციებისთვის დრო საკმარისია?

გამოკითხულთა 89,7%-მა უპასუხა, დიახ, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელის კონსულტაციებისთვის დრო საკმარისია;
გამოკითხულთა 3,5%-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელის კონსულტაციებისთვის დრო მეტწლიად საკმარისია; 3,5%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ საკმარისია, 3,5%-მა უპასუხა, რომ არა არის საკმარისი.

კითხვაზე: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამუშაო გეგმის შედგენაში?

გამოკითხულთა 93,1%-მა უპასუხა, დიახ, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ეხმარება სამუშაო გეგმის შედგენაში;
გამოკითხულთა 3,9%-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი მეტწილად ეხმარება სამუშაო გეგმის შედგენაში;
გამოკითხულთა 3%-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ნაწილობრივ ეხმარება სამუშაო გეგმის შედგენაში;

კითხვაზე: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ სამაგისტრო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში?

გამოკითხულთა 93,1%-მა უპასუხა, დიახ, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ეხმარება ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში;
გამოკითხულთა 3,9 %-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი მეტწილად ეხმარება ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში;
გამოკითხულთა 3%-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ნაწილობრივ ეხმარება ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში;

კითხვაზე: სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი გეხმარებათ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში?

გამოკითხულთა 96,6%-მა უპასუხა, დიახ, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ეხმარება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში;

გამოკითხულთა 3,4%-მა უპასუხა, სამაგისტრო (ნაშრომის) თემის ხელმძღვანელი ნაწილობრივ ეხმარება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში;

კითხვაზე: უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე გაგაცნეს თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსი?
გამოკითხულთა 93,1%-მა უპასუხა, დიახ უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე გააცნეს სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
გამოკითხულთა 6,9%-მა უპასუხა, უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე ნაწილობრივ გააცნეს სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;

კითხვაზე: დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.
გამოკითხულთა 56,2%-მა უპასუხა, რომ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიიღო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდიდან;
გამოკითხულთა 20,7%-მა უპასუხა, რომ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიიღო ფაკულტეტის დეკანისგან;
გამოკითხულთა 12,8%-მა უპასუხა, რომ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიიღო ადმინისტრაციული პერსონალისგან;
გამოკითხულთა 10,3%-მა უპასუხა, რომ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიიღო სტუდენტებისგან;

კითხვაზე: თქვენი აზრით ყველაზე მეტად რა უწყობს ხელს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას? შეაფასეთ თითოეული 1 დან 5 ქულამდე/ მონიშნეთ პლიუსით (ზრდადობის მიხედვით)
მემორანდუმები და ერთობლივი აქტივობები სხვა უნივერსიტეტებთან
პროექტების კოორდინატორების ჩართულობა
სასწავლო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა
ტურისტული კომპანიების დაინტერესება და მათი ჩართულობა
ინფორამაციის გავრცელება სოციალური ქსელების საშუალებით
კონკრეტულ ქვეყნებში სამუშაო ვიზიტები, ფორუმებზე, გამოფენებზე მონაწილეობა და პირდაპირი დიალოგი დაინტერესებულ პირებთან
ერთობლივი კონფერენციები და სამეცნიერო გამოცემები
საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების მუშაობა

მაღალრეიტინგულ, უცხოენოვან ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება

კითხვაზე: მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდით კურუკულუმის გარე აქტივობებში (კონფერენციები, გასართობი და სპორტული ღონისძიებები?)

გამოკითხულთა 56,2%-მა უპასუხა, რომ მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდნენ კურუკულუმის გარე აქტივობებში (კონფერენციები, გასართობი და სპორტული ღონისძიებები?)

გამოკითხულთა 13,8%-მა უპასუხა, რომ მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მეტწილად მონაწილეობდნენ კურუკულუმის გარე აქტივობებში (კონფერენციები, გასართობი და სპორტული ღონისძიებები?)

გამოკითხულთა 31%-მა უპასუხა, რომ მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში ნაწილობრივ მონაწილეობდნენ კურუკულუმის გარე აქტივობებში (კონფერენციები, გასართობი და სპორტული ღონისძიებები?)

კითხვაზე: თქვენს მიერ არჩეულმა სამაგისტრო პროგრამამ გაამართლა თქვენი მოლოდინი?

გამოკითხულთა 93,1%-მა უპასუხა, რომ სამაგისტრო პროგრამამ გაუმართლათ მოლოდინი;

გამოკითხულთა 6,9%-მა უპასუხა, რომ სამაგისტრო პროგრამამ მეტწილად გაუმართლათ მოლოდინი.

საკითხები, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- ნებისმიერი პასუხი რომელიც კითხვას აფასებს „ნაწილობრივ შესაბამისად“ შესწავლილი იქნეს თითოეულ ფაკულტეტზე ჩაღრმავებული ინტერვიუების სახით.
- შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს კარგი პრაქტიკა იმ საკითხებთან მიმართებით, რომელზეც გაზრდილია კმაყოფილების კვლევის მაჩვენებლები.

რეკომენდაცია:

აღნიშნული საკითხების განხილვა მოხდეს თითოული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მაგისტრანტების ხელმძღვანელებთან და უკუკავშირი დაუბრუნდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.